

მასწავლებელთა
პროფესიული ასოციაციების
წარმატებული
ფუნქციონირების მაგალითები
საქართველოში, ევროპასა და
ამერიკაში

სარჩევი

.....	1
შესავალი - მასწავლებელთა პროფესიული ასოციაციების ძირითადი დანიშნულება; დადებითი გამოცდილება	3
კვლევის მიზანი	5
კვლევის შერჩევა და მეთოდოლოგია.....	6
მასწავლებელთა ასოციაციები - წარმატებული მაგალითები საქართველოსა და მსოფლიოში.....	7
საქართველო - ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაცია საქართველოში (ETAG).....	7
ამერიკა - AAPT - ამერიკის ფიზიკის მასწავლებელთა ასოციაცია.....	15
ევროპა - სამოქალაქო განათლების სწავლების ასოციაცია Association for Citizenship Teaching (ACT).....	22
რეკომენდაციები	26

შესავალი

მასწავლებელთა პროფესიული ასოციაციების ძირითადი დანიშნულება; დადებითი გამოცდილება

საუკუნეზე მეტია, რაც მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში დაიწყო მასწავლებელთა საგნობრივი ასოციაციების შექმნა და მსგავსი გაერთიანებების განვითარების პროცესი უწყვეტად გრძელდება დღესაც. მასწავლებელთა პროფესიული ასოციაციები ფართოდაა გავრცელებული მთელი მსოფლიოს მასშტაბით და დღემდე პედაგოგებისთვის იდეების გენერირების, რესურსების განვითარება/მოხილვებისა და ურთიერთმხარდაჭერის საუკეთესო წყაროს წარმოადგენს, რასაც ადასტურებს როგორც მსგავსი გაერთიანებების რაოდენობის, მათი წევრების და დაფარვის მუდმივი ზრდა, ასევე ასოციაციების მიერ საკუთარი მომხმარებლისთვის გაწეული მომსახურების მაღალი ხარისხი და მომხმარებელთა უკუკავშირი.

მასწავლებელთა საგნობრივი ასოციაცია სასარგებლოა როგორც თავად საგნის განვითარების, ასევე ასოციაციაში გაერთიანებული თითოეული პედაგოგის კვალიფიკაციის ამაღლებისა და განვითარების ახალი შესაძლებლობების შექმნა/მიღებისათვის.

როგორც წესი, საგნობრივი ასოციაციები მყისიერად, მარტივი ფორმით განწევრიანების შესაძლებლობას იძლევა, რაც თავის მხრივ შესაძლებლობას გვაძლევს მივიღოთ ყველა მომსახურება, რასაც ეს კონკრეტული ასოციაცია სთავაზობს საკუთარ მომხმარებელს.

საგნობრივი ასოციაციებში გაერთიანების სიმარტივის გარდა, ასოციაციის წევრად ყოფნას პედაგოგისთვის პირველ რიგში ის უპირატესობა აქვს, რომ მას აქვს შესაძლებლობა მიიღოს საკუთარი საგნის სწავლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საინტერესო და სასარგებლო ინფორმაცია; მუდმივად ინფორმირებული იყოს სფეროში მიმდინარე სიახლეებისა და თანამედროვე მიღწევებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შესახებ;

თავის მხრივ, პროფესიული საგნობრივი ასოციაციები, თავად საგნის განვითარებას უწყობს ხელს; პროფესიული ასოციაციები საკუთარი წევრებისა და სასწავლო საგნის გარშემო არსებულ ინტერესთა დამცველებად გვევლინებიან და ცდილობენ ხელი შეუწყონ საგნის პოპულარიზაციას და სწავლა/სწავლების პროცესის დახვეწას.

სწავლა/სწავლების სფერო მუდმივად ვითარდება, კურიკულუმები იცვლება, რეგულარულად ჩნდება ახალი ინიციატივები. მუდმივი ცვლილებების და განვითარების პროცესში განსაკუთრებულ წარმატებას ის ასოციაციები აღწევენ, ვისაც კარგად აქვს განვითარებული საკომუნიკაციო პლატფორმა. ასოციაციების უმეტესობას აქვს ვებ-გვერდი, საფოსტო სია და რეგულარული ღონისძიებები. გარდა ამისა, საგნობრივი ასოციაციები როგორც წესი, გამოსცემენ თემატურ ჟურნალებს/პერიოდიკას, რომელიც ასევე შეიცავს ყველა ზემოთხსენებულ ინფორმაციას. ყველაფერი ეს ერთად აღებული ეხმარებათ მათ საკუთარი წევრების ინფორმირებასა და მათ შორის გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობაში.

პროფესიული ასოციაციების უმეტესობა საკუთარი წევრებისთვის პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს ქმნის, რომელთა სპექტრი საკმაოდ ფართოა - მცირე მასშტაბიანი სემინარებიდან რამდენიმედღიანი მასშტაბური კონფერენციებით დამთავრებული. ეს არის შესანიშნავი შესაძლებლობა შეხვდეთ საერთო ინტერესების მქონე კოლეგებს, დაეუფლო სწავლების თანამედროვე მიდგომებს, გაეცნო ახალ რესურსებს და მოისმინო სფეროს წამყვანი სპეციალისტების მოსაზრებები.

მსგავს ღონისძიებებზე დასწრება არა მარტო ზრდის პედაგოგის ექსპერტიზას, არამედ ამდიდრებს და ავითარებს თითოეული მასწავლებლის CV-ს და პროფესიულ „ღირებულებას“. პედაგოგისთვის, წარმატებული ასოციაციის წევრობა იმდენადაცაა საინტერესო და ღირებული, რომ როგორც წესი, დამსაქმებლის თვალითაც, საგნობრივი ასოციაციების წევრობა განსაკუთრებით მიმზიდველია.

მიუხედავად პრაქტიკით დადასტურებული უპირატესობისა და სარგებლისა, რაც მასწავლებელთა საგნობრივ ასოციაციებს მოაქვს საგნის და მასწავლებელთა განვითარებისათვის, შეიძლება ითქვას, რომ ცალკეული გამონაკლისების გარდა, საქართველოში დღეს-დღეობით საგნობრივი ასოციაციები ჯერ მხოლოდ ფეხს იდგამენ.

შესაბამისად, მსოფლიოში არსებული პრაქტიკის, არსებული პროფესიული ასოციაციების ძლიერი და სუსტი მხარეების, გამოწვევებისა და შესაძლებლობების შესწავლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით, სადაც პროფესიული ასოციაციების განვითარება პერსპექტიულ, თუმცა ახალ სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს.

კვლევის მიზანი

წინამდებარე კვლევის მიზანია მსოფლიო მასშტაბით მასწავლებელთა პროფესიული ასოციაციების შექმნისა და განვითარების საუკეთესო პრაქტიკის შესწავლა, კერძოდ კი, რამდენიმე წარმატებული მაგალითის აღწერა.

ასოციაციების აღწერის სქემის შემადგენელი ელემენტებია:

1. კონკრეტული ასოციაციის დანიშნულებისა და საქმიანობის მოკლე მიმოხილვა(მისია და მიზანი, საქმიანობის სფერო, დაფარვა)
2. მომსახურების ტიპები და სახეები;
3. საზოგადოებასთან ურთიერთობა - საკომუნიკაციო საშუალებები: ვებ-გვერდი; სოციალური ქსელების გამოყენება;
4. დაფინანსება, კავშირები და პარტნიორები;
5. სტრუქტურა და მართვა; გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები; განვითარების მექანიზმები

მოცემული სქემის მიხედვით საუკეთესო პრაქტიკის აღწერასთან ერთად, კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოში მოქმედი სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა ფორუმის ორგანიზაციული განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავება ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

კვლევის შერჩევა და მეთოდოლოგია

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, მრავალფეროვანი, გამოყენებადი და საქართველოს რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებული გამოცდილების აღსაწერად შეირჩა სამი ორგანიზაცია საქართველოს, ევროპასა და ამერიკაში მოქმედი ორგანიზაციების/ასოციაციების ერთობლიობიდან. აღნიშნული სამი ორგანიზაციის შერჩევის საკვანძო კრიტერიუმებად გამოყენებული იყო ა) ფართო დაფარვა; და ბ) ძლიერი ორგანიზაციული სტრუქტურა.

ამასთანავე, საქართველოს რეალობასთან მიახლოების მიზნით, შერჩეული ორგანიზაცია არ უნდა ყოფილიყო ასოციაციების ერთობლიობა (მსოფლიოში მოქმედი უძლიერესი პროფესიული ასოციაციები, ძირითადად, გაერთიანებულნი არიან უფრო ფართო ქსელებში). მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშში მიმოხილულია ამგვარი ორგანიზაციების გამოცდილება რიგ საკითხებთან დაკავშირებით, შერჩევის ერთეულს მაინც ცალკეული ორგანიზაცია და არა მათი გაერთიანება წარმოადგენს.

ასოციაციების საქმიანობისა და მომსახურების აღწერისთვის მოხდა შერჩეული ორგანიზაციების ინტერნეტ გვერდების შესწავლა (კონტენტ ანალიზი) ასოციაციების აღწერის სქემაში მოცემული ასპექტების მიხედვით. იქ, სადაც ვებ-გვერდზე მოცემული ინფორმაცია არ იყო ამომწურავი ან საკმარისი, დამატებით ჩატარდა ინტერვიუ ასოციაციების წარმომადგენლებთან;

საბოლოოდ, მიღებული ინფორმაციის ანალიზისა და არსებულ სიტუაციასთან მისადაგების საფუძველზე, შემუშავდა რეკომენდაციები სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა ფორუმის ორგანიზაციული განვითარებისთვის.

მასწავლებელთა ასოციაციები – წარმატებული მაგალიტები საქართველოსა და მსოფლიოში



საქართველო – ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაცია საქართველოში (ETAG)

ასოციაციის დანიშნულება და საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

ETAG ინგლისური ენის მასწავლებელთა პროფესიული ასოციაციაა, რომელიც 1995 წელს არასამთავრობო, არამომგებიან ორგანიზაციად დარეგისტრირდა. ამჟამად,



ETAG-ს საქართველოს ცხრა ქალაქში აქვს წარმომადგენლობა - კარგად აღჭურვილი ოფისი, რომელსაც პროფესიონალი მენეჯერები მართავენ. ETAG-ის წევრები, ძირითადად სახელმწიფო და კერძო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების ინგლისური ენის პედაგოგები არიან, თუმცა ETAG-ის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი დაინტერესებული პირი. გარდა საქართველოს მოქალაქეების მხრიდან წამოსული ინიციატივებისა, ასოციაცია მიესალმება ნებისმიერი უცხოელის მზაობას, გახდეს ასოციაციის წევრი.

ასოციაციის ძირითადი მიზანია ინგლისური ენის სწავლების სტანდარტების დახვეწა პროფესიონალური კონსულტირების, ტრენინგ სერვისის მიწოდების და ეფექტური სწავლების მეთოდების დანერგვისა და თანამედროვე მასალების წარდგენის გზით.

ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაციის მისიის განაცხადი. ასოციაციის მისიაა ინგლისური ენის სწავლების ხარისხის ამაღლება მასწავლებლების პროფესიონალური განვითარებისათვის ეფექტური შესაძლებლობების შექმნის, ასოციაციის წევრებს შორის ინფორმაციის, გამოცდილების გაცვლისა და ქსელური მუშაობის ხელშეწყობით როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

ასოციაცია აყალიბებს და აგითარებს მჭიდრო კონტაქტებს საშუალო და უმაღლესი განათლების დაწესებულებებთან / ინსტიტუტებთან, სადაც ისწავლება ინგლისური ენა და მხარს უჭერს ისეთ საქმიანობას, რომელიც აიოლებს და ხელს უწყობს ინგლისური ენის სწავლების ხარისხის გაზრდას.

ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაციის ძირითადი მიზნებია:

- ინგლისური ენის სწავლების ხარისხის ამაღლება; ინგლისური ენის მასწავლებლების პროფესიონალური განვითარებისათვის ეფექტური შესაძლებლობების შექმნა

- ასოციაციის წევრების დახმარება საქართველოსა და ქვეყნის გარეთ კოლეგებთან გამოცდილების გაზიარებაში; რესურსების მიწოდება
- ინგლისური ენის სწავლების განვითარების ხელშემწყობი ისეთი პროექტების განხორციელება, რომელიც შესაბამისობაშია განათლების რეფორმასთან
- ინგლისური ენის სწავლების პროცესში ჩართულ სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურებთან / ორგანიზაციებთან კონტაქტების დამყარება და განვითარება

ამისთვის კი ასოციაცია :

- აწყობს / უძღვება ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებს
- ავითარებს პროფესიულ კავშირებს და პარტნიორობას სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, როგორცაა მაგ. IATEFL და TESOL
- ახორციელებს პარტნიორულ პროექტებს
- შეიმუშავებს და ატარებს მასწავლებელთა ტრენინგ კურსებს
- ხელს უწყობს სახელმძღვანელოების შემუშავებასა და გავრცელებას

ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაციის პროექტები. 1995 წლიდან ETAG-ი, პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით, ახორციელებს მთელ რიგ საგანმანათლებლო, უმეტესად კი ინგლისური ენის სწავლებასთან დაკავშირებულ პროექტს: - ასოციაცია პირდაპირ იყო ჩართული: მასწავლებელთა ცენტრების ჩამოყალიბებაში; საჯარო ბიბლიოთეკებში ინგლისური სექციების მოწყობაში; ეროვნული კონფერენციების მოწყობაში; მასწავლებელთათვის ტრენინგების ჩატარებაში; ქართულ სკოლებში სამოქალაქო განათლების საგნის შეტანაში; საქართველოში ინგლისური ენის სწავლების კვლევაში;

ასოციაციის პარტნიორები და დამფინანსებლები იყვნენ ბრიტანეთის საბჭო; ამერიკის საელჩო საქართველოში, ღია საზოგადოება - საქართველო, ნოუ-ჰაუ ფონდი; ევრაზიის ფონდი, გაეროს განვითარების პროგრამა; (The British Council, USA Embassy Georgia, Open Society - Georgia Foundation, Know-How Fund, Eurasia Foundation, UNDP)

რამდენიმე პროექტი, რაც განახორციელა ასოციაციამ უკანასკნელი წლების მანძილზე:

- ისწავლე ინგლისური ენა სამოქალაქო განათლების გზით 2011(English Language through Civic Education (ELCE) Project Harmony (PH) International, English Teachers

Association of Georgia (ETAG) and the Center for Intercultural Education and Development (CIED) of Georgetown University)

- მასწავლებელთა მომზადების კურსები (pre-service training course) 2007 - (ETAG, BC) პილოტური პროექტი, რომელიც განხორციელდა ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის, ქუთაისის, ბათუმის და თელავის უნივერსიტეტებში
- სახელმძღვანელოების შექმნა და განვითარება - ბრიტანეთის საბჭოს და საქართველოს განათლების სამინისტროს ერთობლივი პროექტი, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა და დაინერგა მე-7 და მე-10 კლასის ინგლისური ენის სახელმძღვანელოები, ხოლო მე-8 და მე-11 კლასის სახელმძღვანელოები პილოტირებას გადის;
- მასწავლებელთა გადამზადების კურსები (in-service training course) 2007 – ბრიტანეთის საბჭოსა და ამერიკის საელჩოსთან (British Council, USA Embassy) მჭიდრო თანამშრომლობით ასოციაციამ შეიმუშავა მასწავლებელთა გადამზადების ოთხი 40 საათიანი ტრენინგ კურსი - რომელიც მოიცავს რამდენიმე ქვე-კურსს: ინგლისური ენის თანამედროვე სწავლება; წერითი უნარ-ჩვევების განვითარება; ენის განვითარება ინგლისური ენის მასწავლებლებისათვის; მეტი სწავლა და ნაკლები სწავლება. Modern English Language Teaching(MELT),Developing Writing Skills(DWS),Language Development for English Language Teachers(LDEL),More Learning Less Teaching (MLLT). დღეისთვის, აღნიშნული კურსების საშუალებით, 500-ზე მეტმა მასწავლებელმა გაიარა მომზადება. ამჟამად დამუშავდა და დაინერგა კიდევ ორი ახალი კურსი - ბიზნეს ინგლისური და - სწავლების ცოდნის ტესტი (Business English and TKT (Cambridge)); ტრენინგ კურსები განკუთვნილია როგორც თბილისის, ასევე რეგიონის პედაგოგებისათვის;
- ფილიალების ქსელის განვითარების და მხარდაჭერის პროექტი - ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაციას საქართველოში ამჟამად აქვს რვა რეგიონალური წარმომადგენლობა და სათაო ოფისი თბილისში. ოფისები განლაგებულია ბათუმში, ფოთში, ზუგდიდში, ქუთაისში, ახალციხეში, გორში, რუსთავსა და თელავში. ყველა ფილიალი კარგადაა აღჭურვილი, უზრუნველყოფილია ინტერნეტ კავშირით. ფილიალებს მართავს ფილიალის მმართველი. ყველა ფილიალი აერთიანებს 800-მდე წევრს როგორც საშუალო, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან.
- ინგლისური ენის სწავლა და სწავლება საქართველოში, 2001 - კვლევა - კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 3500 რესპოდენტი - სკოლის დირექტორები, პედაგოგები, 9-10-11 კლასების მოსწავლეები, უნივერსიტეტების

პირველკურსელები, მშობლები, ინგლისური ენის ტრენინგ კურსების პედაგოგები როგორც საქართველოს ქალაქებში, ასევე სოფლებში.

- სამოქალაქო განათლების კურიკულუმის განვითარება და საშუალო სკოლების მასწავლებელთა ტრენინგი - 200-2002 - პროექტის ფარგლებში შემუშავდა 136 გვერდიანი მოსწავლის და 102 გვერდიანი მასწავლებლის სახელმძღვანელო. სახელმძღვანელოს 5000 კოპია უფასოდ დარიგდა სკოლებში.
- ინგლისური ენის ბიბლიოთეკების განვითარება 2000-2001 - ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, ზუგდიდის და თელავის ცენტრალურ ბიბლიოთეკებსა და თბილისის ცენტრალურ ოფისში შექმნილია და ფუნქციონირებს მდიდარი თანამედროვე მასალით აღჭურვილი ბიბლიოთეკები, კოლექციებში წარმოდგენილია როგორც ზოგადი და ბიზნეს ინგლისურის სახელმძღვანელოები, ასევე აუდიო და ვიდეო მასალები და კომპაქტდისკები.
- ეროვნული და საერთაშორისო კონფერენციები - დღიდან დაარსებისა, ასოციაციამ უზრუნველყო 7 მასშტაბური კონფერენციის ჩატარება, სადაც მომხსენებლებად წარმოდგენილნი იყვნენ როგორც ასოციაციის წევრები, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების: TESOL და IATEFL წარმომადგენლები.

მომსახურების ტიპები და სახეები. ETAG-ი შემდეგი სახის მომსახურებას თავაზობს თავის წევრებს.

- **ბიბლიოთეკა.** ასოციაცია საკუთარ წევრ პედაგოგებს აძლევს შესაძლებლობას ისარგებლონ მდიდარი ბიბლიოთეკით, სადაც სხვადასხვა სახის რესურსებია განთავსებული: ინგლისური ენის სწავლების საუკეთესო მასალები (მოსმენა, მეტყველება, წერა, გრამატიკა); ტესტები: - პროფესიული ინგლისური, გამოთქმა, ლექსიკა; სახელმძღვანელოები ზრდასრულთა და ახალგაზრდა მოსწავლეებისათვის; აუდიო და ვიდეო მასალა; ლექსიკონები - ზოგადი და სპეციალიზებული; გაზეთები და პერიოდიკა; საინფორმაციო რესურსები: დირექტორიები, კატალოგები და სხვადასხვა პროსპექტები

რეგისტრირებულ წევრებს შეუძლიათ ბიბლიოთეკიდან მასალების გატანა. წევრობა ღიაა ინგლისური ენის მასწავლებლებისათვის, ინგლისური ენის პროფილის მაგისტრანტებისა და მათთვის, ვისაც ინგლისური ენა პროფესიულად ესაჭიროება; წიგნების გატანა შესაძლებელია 3 კვირით; იმისათვის, რომ რომელიმე მასალა 3 კვირაზე მეტი ხნით დაიტოვოს, წევრს შეუძლია ერთჯერადად გააგრძელოს წიგნის თხოვების ვადა 3 კვირით, თუ ამ წიგნზე არ არის დაფიქსირებული მოთხოვნა სხვა წევრის მხრიდან (დაგვიანებით დაბრუნების შემთხვევაში წევრი იხდის 50 თეთრს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე; დაზიანების შემთხვევაში წევრს უწყდება წევრობა

და მას სჭირდება თავიდან გაწვევრიანება; დაკარგვის შემთხვევაში უნდა მოხდეს ზარალის ანაზღაურება). ასოციაციას აქვს გამოქვეყნებული წიგნების, კასეტების, ვიდეო და აუდიო მასალის სრული კატალოგი.

- **ტრენინგ კურსები.** ასოციაცია საკუთარ წევრებს სთავაზობს სხვადასხვა სახისა და სირთულის ტრენინგ კურსებს (ათზე მეტი დასახელების კურსი), რომელთა ხანგრძლივობა მერყეობს 16-დან 40 საათამდე, ხოლო ფასი 40-დან 100 ლარამდე. ვებ-გვერდზე განთავსებულ თითოეულ ტრენინგ კურს ახლავს მოკლე ანოტაცია, მითითებულია ხანგრძლივობა და საფასური.

კურსების სახელწოდებები: Teaching Knowledge Test (TKT) Essentials; Language Development for English Language Teachers (LDEL); Developing Writing Skills (DWS); More Learning, Less Teaching (MLLT); Modern English Language Teaching (MELT); Business English (BE); Academic Writing; Newly Qualified Teachers (NQT) Classroom Language; CAE/C1 Exam Format training; FCE/B2 Exam Format Training

- **საერთაშორისო კონფერენციები.** ასოციაცია რეგულარულად აწყობს ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბის კონფერენციებს, მათ შორის ონლაინ რეჟიმში.

საზოგადოებასთან ურთიერთობა. ასოციაციას აქვს ინგლისურენოვანი ვებგვერდი, სადაც მოცემულია დეტალური ინფორმაცია, როგორც ასოციაციის საქმიანობის, ასევე მისი ორგანიზაციული მოწყობის შესახებ. ვებ გვერდიდან შესაძლებელია ბმულებით გადასვლა ასოციაციის პარტნიორი ორგანიზაციების ვებ-გვერდებზე. გვერდზე მოცემულია ბიბლიოთეკის რესურსების სრული ჩამონათვალი; ტრენინგ კურსების აღწერილობა, ხანგრძლივობა და საფასური; წევრების სია; როგორც სათაო ოფისის, ასევე ფილიალების ქსელის საკონტაქტო ინფორმაცია.

დაფინანსების სქემა, არსებული კავშირები და პარტნიორები. ასოციაციის მიმდინარე საქმიანობის ფარავს როგორც საწევრო გადასახადებიდან შემოსული თანხები, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ადგილობრივი ფონდებისა და ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები.



ასოციაციას მჭიდრო თანამშრომლობითი კავშირები აქვს ჩამოყალიბებული როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო მასშტაბის დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან. ასოციაციის ძირითადი პარტნიორები არიან: ბრიტანეთის საბჭო; ამერიკის საელჩო საქართველოში; საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტრო; ღია საზოგადოება-საქართველო; მშვიდობის კორპუსი (Peace Corps); TIE - Test of Interactive English;; IATEFL - International Association of Teachers of English as a Foreign Language; TESOL - Teachers of English to Speakers of Other Languages. ეს ორგანიზაციები ტექნიკურ და ფინანსურ მხარდაჭერას უწევენ ასოციაციის საკუთარი პროექტების განხორციელებასა და საქმიანობის წარმართვაში.

სტრუქტურა და მართვა. ETAG-ის მმართველობითი სტრუქტურა საკმაოდ მარტივია: ექვსი წევრისგან შემდგარი გამგეობა მეთვალყურეობას უწევს ცენტრალური ოფისის აღმასრულებელი რგოლის მუშაობას, რომელსაც თავის მხრივ ექვემდებარება რეგიონალური ოფისები.



ფილიალები. ასოციაციას აქვს ცხრა ფილიალი: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ახალციხე, ფოთი, თელავი, ზუგდიდი, რუსთავი, გორი. ფილიალის გახსნის

ინიციატივა ძირითადად მომდინარეობს რეგიონებიდან, ერთი ადამიანის მხრიდან, ვინც აკეთებს ასოციაციის საქმიანობის რეკლამირებას რეგიონში. ის აგროვებს ადამიანებს, ვინც დაინტერესებულია ასოციაციის წევრობით და აქვს სურვილი ჩაერთოს ასოციაციის საქმიანობაში. ოფიციალური ფილიალის გახსნისთვის, რეგიონალური წარმომადგენელი იწვევს ასოციაციის გამგეობის წარმომადგენლებს თბილისის ცენტრალური ოფისიდან და აკეთებს პედაგოგებთან შეხვედრის ორგანიზებას. რეგიონალური ფილიალის თავმჯდომარეები ირჩევა ორი წლის ვადით, მათი თავიდან არჩევა შესაძლებელია მხოლოდ დამატებითი ორი წლის ვადით. ახალი ფილიალის გახსნაზე მოთხოვნა უნდა მომდინარეობდეს მინიმუმ 10 წევრის მხრიდან.

წევრობა. ასოციაციის წევრობა ლიმიტირებული არ არის; ის ღიაა საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, ვინც დაინტერესებულია ინგლისური ენის სწავლებით. გაწევრიანების პროცედურა ძალიან მარტივია: მსურველს შეუძლია დაუკავშირდეს ადგილობრივ ან ცენტრალურ ოფისს და გადაიხადოს წლიური საწევრო - 30 ლარი თბილისისათვის და 20 ლარი - რეგიონებისათვის.

სანაცვლოდ, ასოციაციაში გაერთიანება შესაძლებლობას აძლევს წევრს:

- დაესწროს მასწავლებელთა ტრენინგ კურსებს და პროფესიული განვითარების სემინარებს
- მონაწილეობა მიიღოს ETAG-ის კონფერენციებში
- გამოიყენოს და ისარგებლოს ბიბლიოთეკის რესურსით
- მიიღოს ყოველთვიური ელექტრონული გამოცემა
- ჩაერთოს და ქსელურად იმუშაოს კოლეგების ეროვნულ და საერთაშორისო ქსელთან
- ინფორმირებული იყოს სფეროს სიახლეებსა და თანამედროვე მიმდინარეობებზე
- გაიზარდოს პროფესიულად და პიროვნულად

ამერიკა – AAPT – ამერიკის ფიზიკის მასწავლებელთა ასოციაცია

ასოციაციის დანიშნულება და საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

AAPT - ამერიკის ფიზიკის მასწავლებელთა ასოციაცია მეცნიერთა პროფესიული კავშირია, რომელიც სწავლების გზით ფიზიკის საგნის წვდომას და მნიშვნელობის გააზრებას ემსახურება.

ამერიკის ფიზიკის მასწავლებელთა ასოციაცია 1930 წელს შეიქმნა და მისი ძირითად მიზანს „სწავლების საშუალებით ფიზიკის შესახებ ცოდნის გავრცელება“ წარმოადგენდა. ასოციაციას თავდაპირველად სამი დამფუძნებელი ყავდა, ახლა კი 9000 -მდე წევრს აერთიანებს.

ასოციაციის ხედვაა იყოს ლიდერი ფიზიკის მიმართულებით განათლების დარგში. ასოციაციის ძირითადი დანიშნულებაა უზრუნველყოს საკუთარი წევრების პროფესიული განვითარება თანამედროვე რესურსებთან ხელმისაწვდომობის გაზრდისა და სფეროში მიმდინარე უახლესი კვლევების შედეგების გაშუქებით.

ასოციაციას გამოკვეთილი აქვს ოთხი ძირითადი მიმართულება, რის გარშემოც გეგმავს საკუთარ სამომავლო საქმიანობას:

- გააფართოვოს საკუთარი საქმიანობის გეოგრაფიული დაფარვა, რითაც გაიზრდება მისი საქმიანობის ზეგავლენა ფიზიკის მასწავლებლებების მიერ საგნის სწავლების ხარისხზე
- გაამრავალფეროვნოს და გაზარდოს ფიზიკის მასწავლებელთა და სტუდენტების რაოდენობა
- გააუმჯობესოს ფიზიკის მასწავლებელთა სწავლების უნარ-ჩვევები და საგნის ცოდნა ყველა დონეზე
- გაზარდოს ფიზიკის სწავლის პროცესის გააზრების ხარისხი და სწავლების ეფექტურობა

მომსახურების ტიპები და სახეები. ასოციაცია საკუთარ მომხმარებელს მრავალფეროვან და მიმზიდველ სერვისს სთავაზობს:

- **შეხვედრები და კონფერენციები.** ზამთრის და ზაფხულის შეხვედრები - რეგულარული, მსხვილმასშტაბიანი შეხვედრები აძლევს ასოციაციის წევრებს შესაძლებლობას შეხვდნენ და გაიცნონ კოლეგები; ჩამოაყალიბონ ეროვნული

და ადგილობრივი დონის ქსელები; განიხილონ სფეროში მიმდინარე პროცესები და ინოვაციები; გაუზიარონ ერთმანეთს კვლევის შედეგები

- **სემინარები და სიმპოზიუმები.** ასოციაცია ასევე რეგულარულად აწყობს უფრო მცირე ზომის ღონისძიებებს, რომლებიც ასევე ემსახურება ეროვნული და ადგილობრივი დონის ქსელების ჩამოყალიბება-განვითარებას.
- **პედაგოგთა და აკადემიური პერსონალის სამუშაო შეხვედრები.** ამერიკის ასტრონომთა საზოგადოებასა და ამერიკის ფიზიკის საზოგადოებასთან ერთობლივად American Astronomical Society (AAS), American Physical Society (APS) – ამერიკის ფიზიკის მასწავლებელთა ასოციაცია მასპინძლობს ფიზიკის და ასტრონომიის დარგში ახალბედა სპეციალისტებს / ახალ წევრებს და ატარებს სამუშაო შეხვედრებს, რაც ეხმარება ახალბედებს საგნის სწავლების თანამედროვე მეთოდების დაუფლებასა და შესაბამისად, ზეგავლენას ახდენს სწავლების ხარისხზე.
- **სასწავლო რესურსები.** სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდა - ასოციაცია უშვებს ორ ძირითად რეფერირებად საერთაშორისო ჟურნალს - American Journal of Physics და The Physics Teacher; ჟურნალები ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული, ასევე ნაბეჭდი სახით; ყველა წევრი იღებს ორიდან ერთ-ერთს, მისი არჩევანის მიხედვით. ორივე ჟურნალი ემსახურება ფიზიკის სწავლების შესახებ თანამედროვე მეთოდებისა და კვლევის შედეგების პოპულარიზაციას.

ComPADRE (Communities for Physics and Astronomy Digital Resources in Education) - სასწავლო მასალების კარგად ორგანიზებული, მაღალი ხარისხის რესურსების ციფრული კოლექცია ფიზიკასა და ასტრონომიაში, მოიცავს: სასწავლო მასალებს, ციფრულ ბიბლიოთეკას და ონლაინ ჟურნალებს.

PSRC (Physical Sciences Resource Center) - ვებგვერდზე განთავსებული მონაცემთა ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს ფიზიკის მასწავლებლებს სწავლა/სწავლების რესურსებით. პედაგოგებს შეუძლიათ გამოიყენონ რესურს-ცენტრის მასალები კურიკულუმების შემუშავების, საკლასო დემონსტრაციების, ლაბორატორიული სამუშაოების, ონლაინ სასწავლო მასალების ჩვენების, შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების მიზნით. ეს ონლაინ ფორუმი შექმნილია გამოცდილების გაზიარებისა და ონლაინ რეჟიმში დისკუსიების წარმართვისთვის. ძალიან ინტერაქტიული და მომხმარებლის საჭიროებებზე ორიენტირებული ბაზა.

PTRA (Physics Teaching Resource Agents) - სპეციალურად მომზადებული „აგენტები“ სთავაზობენ პროფესიულ განვითარებას ფიზიკის პედაგოგებს. 100 მდე მომზადებული პროფესიონალი, რომელიც ყოველწლიურად თავად გადის

გადამზადებას, სთავაზობს პროფესიულ მხარდაჭერას დაინტერესებულ პედაგოგებს ქვეყნის მასშტაბით.

- **შეჯიბრები და კონკურსები.** ამერიკის ფიზიკის მასწავლებელთა ასოციაცია თავად აწყობს და მონაწილეობას იღებს არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბის კონკურსსა და შეჯიბრში: არჩევს საუკეთესო მონაწილეებს ამერიკის გუნდისთვის (U. S. Physics Team), რომელიც რეგულარულად იღებს მონაწილეობას ფიზიკის საერთაშორისო ოლიმპიადაში; ფიზიკოსთა თასი - აწყობს და ატარებს ყოველწლიურ შეჯიბრს, სადაც გამარჯვებულები ჭილდოვდებიან პრიზებით და ა.შ.

- **ჭილდოები და გრანტები.** ამერიკის ფიზიკის მასწავლებელთა ასოციაცია აღიარებს და წაახალისებს ფიზიკის მეცნიერების დარგში პროფესიონალიზმს და სრულყოფილებას როგორც სწავლის, ასევე სწავლების მიმართულებით და ყოველწლიურად, ზაფხულის და ზამთრის ეროვნულ შეხვედრებზე გადასცემს ჭილდოებს წარჩინებულებს. ჭილდოები საკმაოდ მრავალფეროვანია და ძირითადად ფიზიკის სფეროში დიდი მეცნიერების და ასოციაციის საპატიო წევრების სახელებს უკავშირდება: Klopsteg Memorial Award, Melba Newell Phillips Medal, Oersted Medal, Richtmyer Memorial Award, and Robert A. Millikan Medal.

ამერიკის ფიზიკის მასწავლებელთა ასოციაცია ასევე არაერთ საგრანტო პროგრამას აცხადებს. მაგალითისთვის, ერთ-ერთი საგრანტო პროგრამა გათვლილია საგანმანათლებლო ტექნოლოგიების და პროდუქტების განვითარებაზე. გრანტის მიმღები ვალდებულია პროდუქტის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებით აანაზღაუროს/დააბრუნოს გრანტის თანხა ასოციაციაში, საიდანაც ერთი მესამედი ბრუნდება საგრანტო ფონდში, მეორე მესამედი გამოიყენება ასოციაციის ზოგადი მიზნებისათვის, ხოლო დარჩენილი მესამედი პროექტის ავტორის სურვილისამებრ ნაწილდება. მეორე საგრანტო პროგრამა გათვლილია სტუდენტებზე, ვისაც სურს გახდეს მასწავლებელი. პროგრამით გათვალისწინებულია წარჩინებული სტუდენტებისათვის სტიპენდიების გაცემა.

- **გამოცემები, სახელმძღვანელოები.** როგორც აღინიშნა, ამერიკის ფიზიკის მასწავლებელთა ასოციაცია რეგულარულად აქვეყნებს რამდენიმე გამოცემას, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ასევე ნაბეჭდი სახით. რეგულარული გამოცემებიდან, ორი ძირითადი რეფერირებადი საერთაშორისო ჟურნალი - American Journal of Physics და The Physics Teacher; ჟურნალები განსხვავდება მასალის სირთულის ხარისხით და აუდიტორიით, ვიზეც არის გათვლილი. გარდა აღნიშნული ჟურნალებისა, ასოციაცია ასევე გამოსცემს მთელ რიგ გამოცემებს: AAPT eNOUNCER - ონლაინ გამოცემა,

რომელშიც თავმოყრილია სიახლეები როგორც ასოციაციის საქმიანობის, ასევე მისი წევრების, პარტნიორების და ზოგადად სფეროში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ამასთანავე, ასოციაცია არის Physical Review Special Topics - Physics Education Research - ელექტრონული ჟურნალის კო-სპონსორი. ყველა გამოცემა ხელმისაწვდომია სპეციალურ მაღაზიაში - AAPT Physics Store და ასოციაციის ვებგვერდზე. მსურველებს შეუძლიათ განათავსონ რეკლამა ასოციაციის ჟურნალებში, ინფორმაცია პირობების და რეკლამის ფასების შესახებ დეტალურადაა აღწერილი შესაბამის ბუკლეტებში, რომლებიც ასევე ხელმისაწვდომია ონლაინ, ვებგვერდზე.

- **e - მენტორინგი.** გარდა ელექტრონული გამოცემებისა, ასოციაცია დისტანციურ მომსახურებას სთავაზობს საკუთარ წევრებს - ე.წ. ელექტრონული მენტორინგის პროგრამა. ამ პროგრამის ფარგლებში, გამოცდილი მენტორი მხარდაჭერას და პროფესიულ კონსულტირებას უწევს დამწყებ პედაგოგებს.
- **ონლაინ დასაქმება.** ასოციაციის პრაქტიკაში ასევე არის ონლაინ დასაქმების ცენტრი, რომელიც წარმოადგენს ელექტრონულ პორტალს და შეიცავს ინფორმაციის არსებული ვაკანსიების და დასაქმების სხვა შესაძლებლობების შესახებ წევრებს აქვთ შესაძლებლობა ატვირთონ საკუთარი რეზიუმეები და აწარმოონ როგორც ანონიმური, ასევე ღია კორესპონდენცია დამსაქმებელთან.

საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სტრატეგია. ასოციაციას აქვს კარგად განვითარებული ვებგვერდი, სადაც ინფორმაცია იოლად აღქმად და კარგად ორგანიზებულად არის განთავსებული. ვებგვერდის და ასოციაციის რეკლამირება ხდება ყველა სოციალურ ქსელში; სოციალურ ქსელებში დაინტერესებული წევრების რაოდენობა საკმაოდ დიდია.



ურთიერთობა მედიასთან. AAPT საკმაოდ მრავალფეროვან რესურსებს სთავაზობს მედიასა და პრესას (რეგულარული პრესრელიზები; მედიაქიტი), ამომწურავი ინფორმაციით საკუთარი ღონისძიებების, პუბლიკაციებისა და სხვა სერვისების შესახებ: მედიასთან ურთიერთობას, ასოციაციის სახელით, კურირებს კომუნიკაციების დირექტორი.

დაფინანსების სქემა, არსებული კავშირები და პარტნიორები. გარდა საკუთარი სერვისის მიწოდებით მიღებული შემოსავლებისა, ასოციაცია შესანიშნავად ავითარებს პარტნიორობას სხვა ორგანიზაციებთან და შესაბამისად იყენებს პარტნიორულ რესურსებს.

AAPT არაერთი ისეთი პროექტის სპონსორი და მონაწილეა, რომელიც მისი მისიის განხორციელებას ემსახურება. პროექტების უმეტესობა ფინანსდება მეცნიერების ეროვნული ფონდის National Science Foundation და ისეთი პარტნიორი ორგანიზაციების მიერ, როგორცაა ამერიკის ფიზიკოსთა საზოგადოება American Physical Society, ამერიკის ფიზიკის ინსტიტუტის American Institute of Physics და ფიზიკოს სტუდენტთა საზოგადოების Society of Physics Students მიერ.

დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს გრანტები და საწევრო გადასახადი. 2013 წელს ასოციაციას 12 მსხვილი მიმდინარე პროექტი აქვს. ამავდროულად, ასოციაცია არის რამდენიმე ასოციაციის დამფუძნებელი, რომელთა ფინანსური ადმინისტრირება ასოციაციის გავლით ან დამოუკიდებლად ხდება. თავად ასოციაცია სხვა მსხვილი ასოციაციების წევრია, რაც ეხმარება საკუთარი წევრებისათვის მრავალფეროვანი და მომგებიანი სერვისის მიწოდებაში



The American Association of Physics Teachers, Inc.
Balance Sheet
Year Ended December 31, 2011
(With comparative totals for 2010)

	December 2011	December 2010
ASSETS		
Cash and Cash Equivalents	\$773,378	\$575,451
Investments	2,998,953	3,190,735
Receivables, Net		
Grants	213,991	190,809
Due from affiliate	62,816	54,972
Membership	88,341	58,892
Other	9,655	9,655

ამერიკის ფიზიკის მასწავლებელთა ასოციაცია არის ბიბლიოთეკის სპონსორი და მხარდამჭერი.

ორგანიზაციული სტრუქტურა. AAPT-ს ძირითად სტრუქტურულ რგოლებში შედის: წევრები, გამგეობა, საბჭო, ადმინისტრაციული მხარდამჭერის სტრ.ერთეულები და კომიტეტები.

მმართველობის ძირითად რგოლს წარმოადგენენ თემატური კომიტეტები (25 მდე), რომლებიც სფეროების მიხედვით ასოციაციის საქმიანობის ძირითად ფოკუსს განსაზღვრავენ. კომიტეტები აღმასრულებელი საბჭოსა და ოფისისათვის მრჩეველის ფუნქციას ასრულებენ და ასოციაციის ძირითად ინტელექტუალური რესურსად და ცოდნის ბაზად განიხილებიან.

სფეროს კომიტეტები, როგორც წესი, შედგებიან ცხრა წევრისგან, საიდანაც ექვსი წარდგენილია ნომინირების კომიტეტის, ხოლო დანარჩენი სამი - არჩეული პრეზიდენტის მიერ.

წევრობა. ასოციაციის წევრების რაოდენობა 9000-დან 10000-მდე მერყეობს. როგორც საერთაშორისო ორგანიზაცია, ასოციაცია საკუთარ ევრებს მსოფლიო მასშტაბით აერთიანებს და ემსახურება.

ასოციაციის წევრის სტატუსი შესაძლებლობას აძლევს წევრს მიიღოს:

- ონლაინ წვდომა ასოციაციის ყველა გამოცემასთან
- ქსელური თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობები
- ფასდაკლებები საგანმანათლებლო პროდუქტებზე
- ფასდაკლებები ეროვნული მასშტაბის შეკრებებსა და ასოციაციის რეგულარულ ღონისძიებებზე მონაწილეობაზე
- კარიერის განვითარების შესაძლებლობები
- შეღავათიანი დაზღვევა

ევროპა – სამოქალაქო განათლების სწავლების ასოციაცია Association for Citizenship Teaching (ACT)

ასოციაციის დანიშნულება და საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

ACT არის საგნობრივი ასოციაცია, რომელიც აერთიანებს მასწავლებლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს, რომლებიც ჩართულნი არიან სამოქალაქო განათლებაში. ასოციაცია ჩამოყალიბდა და საქველმოქმედო ფონდად დარეგისტრირდა 2001 წელს.

ასოციაციის მისიაა სამოქალაქო განათლების სწავლების გაუმჯობესება და საზოგადოებაში მისი მნიშვნელობის პოპულარიზაცია. ასევე ასოციაცია ცდილობს გაზარდოს ახალგაზრდების მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ასოციაცია საკუთარი მიზნების მისაღწევად სამოქალაქო განათლების სფეროს პროფესიონალებს სთავაზობს:

- საგანმანათლებლო პროგრამებს
- პროფესიულ განვითარებას, ტრენინგს
- ქსელური თანამშრომლობას
- მაღალი ხარისხის სასწავლო მასალებს, მათ შორის ჟურნალს „სამოქალაქო განათლების სწავლება 'Teaching Citizenship'“

სერვისის მიწოდების გარდა, ასოციაცია იცავს სამოქალაქო ინტერესებს, ახორციელებს კვლევას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს სამოქალაქო განათლების პოლიტიკისათვის

სტრუქტურა და მართვა. საქმიანობას ძირითადად უძღვება თანამშრომელთა გუნდი, ასოციაციის საბჭოს ხელმძღვანელობით (საბჭოში შედიან ასოციაციის წევრი პედაგოგები და პრაქტიკოსები), ხოლო საბჭოს საქმიანობას მეთვალყურეობს გამგეობა. საბჭოს და გამგეობის წევრები მოხალისეობრივ საწყისებზე მუშაობენ. გამგეობის ფუნქცია ასოციაციის საქმიანობის ზოგადი მეთვალყურეობაა. გამგეობა აკონტროლებს ასოციაციის საქმიანობის თანხვედრას მის დანიშნულებასთან და კანონის მოთხოვნებთან, ფინანსურ სტაბილურობას და რესურსების ეფექტურ ხარჯვას. გამგეობა წელიწადში სამჯერ იკრიბება. გამგეობა შედგება თავმჯდომარის, ვიცე-თავმჯდომარის, ხაზინადარის და გამგეობის სხვა რვა წევრისგან.

საბჭო. საბჭოში გაერთიანებულია პედაგოგები და პრაქტიკოსები, ვისაც წვლილი შეაქვთ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საბჭო გამოეყო გამგეობას 2007 წელს. ასეთი დაყოფის მიზანი იყო ფუნქციონალური გამიჯვნა - საბჭოს ფუნქციად განისაზღვრა საგანმანათლებლო პროგრამებზე მუშაობა. საბჭოც წელიწადში სამჯერ იკრიბება.

საბჭოს როლი საგანმანათლებლო პროექტების განვითარება/დანერგვა და გამგეობის წინაშე შესაბამისი ინიციატივების წამოყენებაა. საბჭო უზრუნველყოფს წევრების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას, გამგეობისთვის რეკომენდაციების და რჩევების მიწოდებისა და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მონაწილეობის საშუალებით.

საბჭოს შემადგენლობა. საბჭოს შემადგენლობაში შედიან ასოციაციის წევრები (მაქსიმუმ 25). საბჭოს ყავს თავმჯდომარე, ვიცე-თავმჯდომარე, ჟურნალის რედაქტორი Teaching Citizenship, კონფერენციების დაგეგმვის ჯგუფის და საბჭოს დანარჩენი წევრები.

საბჭოში ყველა როლი მოხალისეობრივია და ანაზღაურებას არ მოიპოვებს. საბჭოს წევრებისთვის უფასოა მხოლოდ საბჭოს შეკრებებზე მგზავრობა, რადგან ასოციაცია ამ ხარჯებს ანაზღაურებს. საბჭოში გაერთიანება შეუძლია ნებისმიერ მსურველს, თავმჯდომარესთან საკუთარი სურვილის წარდგენის და დასტურის მიღების საფუძველზე; საბჭოში გაერთიანების 25-ზე მეტი მსურველის არსებობის შემთხვევაში, ინიშნება არჩევნები, რომელიც ხმის მიცემის on-line მარტივი პროცედურით ხორციელდება.

წევრობა. ასოციაციაში გაწევრიანება ძალიან მარტივია. ამისთვის, საკმარისია შეავსოთ ონლაინ განაცხადი, გადაიხადოთ ასევე on-line ან მოითხოვოთ ინვოისი თქვენი სკოლისა ან ორგანიზაციისათვის და თქვენი წევრობა შემდგარი.

წევრობა გაძლევთ შესაძლებლობას მიიღოთ:

- რეგულარული გამოცემა, ჟურნალი Teaching Citizenship, ერთადერთი ინგლისურენოვანი გამოცემა/ჟურნალი, რომელიც სამოქალაქო განათლებას ეძღვნება.
- სამოქალაქო განათლების სწავლების ნებისმიერი საფეხურის შესაბამის კურიკულუმებთან წვდომა
- ფასდაკლებები ასოციაციის ყოველწლიურ კონფერენციებში მონაწილეობისათვის, ლონდონში

- ყოველთვიური ელექტრონული გამოცემა, რომელიც სიახლეებს და მნიშვნელოვან რესურსებს პირდაპირ მეილ-ბოქსში აწვდის საკუთარ წევრებს.
- სპეციალური შეთავაზებები რესურსების შესაძენად, სამუშაო შეხვედრებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად
- ACT-ს გუნდის მხრიდან თავდაუზოგავი და ეფექტური მხარდაჭერა თქვენი კარიერული განვითარების ნებისმიერ საფეხურზე
- ინდივიდუალური წევრობის საფასური - წელიწადში: 35 ფუნტი (95 ლარი)
- სტუდენტებისთვის - ორი წლის საფასური ერთის ფასად

ორგანიზაციული წევრობის საფასური: 125 ფუნტი (333 ლარი) - ორგანიზაციული წევრობა გათვლილია საზოგადოებრივი და საჯარო უწყებებისათვის და მოიაზრებს ინდივიდუალური წევრობის შესაბამის სერვისს ორგანიზაციის ნებისმიერი წევრისათვის. ამასთან, წევრები იღებენ ფასდაკლებას ასოციაციის ჟურნალში რეკლამის განთავსებისას და უფასოდ სარგებლობენ საგამოფენო სივრცით ასოციაციის მიერ მოწყობილი კონფერენციების დროს.

მომსახურების ტიპები და სახეები.

- **წლიური გენერალური შეხვედრები Annual General Meetings (AGM).** ყოველწლიურად, ასოციაცია იწვევს საკუთარ წევრებს წლიურ გენერალურ შეხვედრაზე. ამ შეხვედრებზე, როგორც წესი განიხილება ასოციაციის წლიური ანგარიში, ფინანსური მდგომარეობა და მოთხოვნები საბჭოს წევრობაზე.
- **ინტერესთა დაცვა.** ასოციაცია, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ფონდებთან და საზოგადოებებთან ერთად გაერთიანებულია კოალიციაში, რომელიც ახორციელებს მნიშვნელოვან და ძალიან საინტერესო პროექტს - Democratic Life. კოალიციას ყავს წევრები, რომლებიც აფინანსებენ და მხარდაჭერას უწევენ ამ ინიციატივას¹.

¹ *Founding Members:* [Amnesty International](#); [Association for Citizenship Teaching](#); [British Youth Council](#); [Changemakers](#); [Citizenship Foundation](#); [CSV \(Community Service Volunteers\)](#); [Hansard Society](#); [Institute for Global Ethics UK Trust](#); [involver](#); [LSN](#)

Supporting organisations: [ActionAid UK](#); [Anne Frank Trust UK](#); [British Humanist Association](#); [British Institute of Human Rights](#); [Civic Voice](#); [The Co-operative](#); [Democracy Matters](#); [English PEN](#); [Envision](#); [Fairbridge](#); [Five Nations Network](#); [Hands Up Who's Bored](#); [IARS](#); [ILEX](#); [Institute for Citizenship](#); [The Law Society](#); [Media Trust](#); [National Association for the Teaching of English \(NATE\)](#); [National Youth Agency](#); [NUS \(National Union of Students\)](#); [Oxfam GB](#); [Public Legal Education Network \(PLENET\)](#); [Student Voice \(was English Secondary Students' Association\)](#); [UK National Commission for UNESCO](#); [UK Youth](#); [UNICEF UK](#); [United Nations Association – UK](#); [Unlock Democracy](#); [Youth Action Network](#)

პროექტი ფაქტიურად ონლაინ რეჟიმში ხორციელდება. კარგად განვითარებული ვებგვერდი აძლევს დაინტერესებულ პირებს - პარლამენტის წევრებს, პოლიტიკოსებს, სტუდენტებს, მასწავლებლებს - შესაძლებლობას ჩაერთონ თემატურ დისკუსიებში, დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებები, გახსნან ახალი თემა, მონაწილეობა მიიღონ და თავად დაამატონ საკუთარი ლონისძიება კალენდარში და ა.შ. ინიციატივის მიზანია ხელი შეუწყოს სამოქალაქო განათლების პოპულარიზაციას, ახალგაზრდების ჩართვას მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოვლენებში და სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე ფართო საჯარო დისკუსიის წარმართვას.

democraticlife

Promoting high quality citizenship education for all young people.

 Search

[Home](#) [News & comment](#) [Events](#) [Citizenship education](#) [Curriculum Review](#) [About us](#) [Take action!](#)

We believe **citizenship education** is essential for preparing young people for our shared democratic life.



📄 1 3

[Join our campaign!](#)

Latest posts

[Citizenship is here to stay!
Reactions to the DFE final
National Curriculum for 2014](#)

[DFE final National
Curriculum for England is
published. Citizenship
strengthened!](#)

[IPPR report calls on schools
to lead the way in rebuilding
democracy, as 'Citizen
Schools'](#)

[Last chance to improve the
revised National Curriculum
for Citizenship!](#)

რეკომენდაციები

მისია და მართვის მოდელი. მკაფიოდ ფორმულირებული მისია ასოციაციების წარმატებული საქმიანობის საწინდარია. პროფესიული ასოციაციების მისიის განაცხადი სულ მცირე ორ ასპექტზე უნდა ამახვილებდეს ყურადღებას - პროფესიული განვითარების მხარდაჭერასა და, ზოგადად, სფეროს პოპულარიზაციაზე;

პროფესიული ასოციაციების მართვის მოდელში მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს ადმინისტრაციული და შინაარსობრივი ასპექტები. კერძოდ, გამგეობასთან ერთად ასოციაციის მართვის მოდელში უნდა არსებობდეს წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ექსკლუზიურად პროფესიული განვითარების სპეციფიურ შინაარსობრივ ასპექტებზე მიიღებს გადაწყვეტილებებს.

წევრობა და საწევრო გადასახადი. მიზანშეწონილია, რომ საწევრო გადასახადი არ აღემატებოდეს 100 ლარს წელიწადში. იურიდიული პირების წევრობის გადასახადი შესაძლებელია იყოს ინდივიდუალურ საწევროზე 2-3 ჯერ მაღალი.

გაწევრიანების ელექტრონული (ონლაინ რეჟიმი) მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკაა, რომელიც მნიშვნელოვნად ამარტივებს გეოგრაფიულად გაფანტული მიზნობრივი ჯგუფის უფრო აქტიურად ჩართვას.

შემოსავლის წყაროები. პროფესიული ასოციაციების ეფექტური ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაცია. ძირითად წყაროებს საწევრო გადასახადი და პროექტული დაფინანსება წარმოადგენს, თუმცა წარმატებული ასოციაციები აგრეთვე ეფექტურად იყენებენ შემოსავლის ისეთ წყაროებს, როგორცაა: ფასიანი პროფესიული გადამზადების პროგრამები; ფასიანი კონსულტაციები; ფასიანი ელექტრონული რესურსები და ბიბლიოთეკები; შემოსავალი რეკლამიდან (კონფერენციაზე, გამოცემებში).

ძირითადი პრიორიტეტები. ასოციაციების საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიმართულება სხვა უფრო მსხვილ ასოციაციებში გაწევრიანებაა. ამ მიმართულების განვითარება რამდენიმე კუთხით არის საინტერესო. პირველ რიგში ასოციაციას შესაძლებლობა ექმნება იყიდოს და საკუთარი წევრებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს მრავალფეროვანი სერვისები. გარდა ამისა, სხვა ასოციაციების წევრობა ზრდის წარმატებული ფანდრაიზინგის შესაძლებლობებს,

რადგან ასოციაციას, ადგილზე დონორი ორგანიზაციის სიმცირის პირობებში, გზა ეხსნება დაფინანსების ახალი წყაროებისაკენ.

პროფესიული ასოციაციის სტრატეგია მუდმივად გაფართოებისკენ უნდა იყოს მიმართული, რადგან საწევრო გადასახადი ასოციაციის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა. გარდა ამისა, ასოციაციის შემოსავლების გაზრდისათვის მიზანშეწონილია ფასიანი სერვისების განვითარება როგორც ზოგადად პროფესიული საზოგადოებისათვის, ისე წევრებისათვის (მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ასოციაციის სერვისების საბაზო პაკეტიც ფასიანია, მხოლოდ წევრებისათვის სპეციალური ფასდაკლებებია ამოქმედებული).

პროფესიული ასოციაციების ეფექტური ფუნქციონირების საფუძველი ძლიერი ვებ პორტალია. შესაბამისად, ასოციაციების საქმიანობის ადმინისტრირების მოდელში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების კომპეტენციების მქონე ადამიანური რესურსებს უზრუნველყოფას. ასოციაციების ვებ-გვერდების შინაარსი მუდმივად განახლებადია, ამიტომ ამ ფუნქციისათვის სასურველია ასოციაციაში ცალკე რესურსი არსებობდეს.

პროფესიული ასოციაციის ადმინისტრაციულ მოდელში კიდევ ერთ მნიშვნელოვან ხაზს ფონდების მოძიებაზე მიმართული საქმიანობა წარმოადგენს. პროექტული დაფინანსება ასოციაციის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა, ამიტომ ფანდრაიზინგის ფუნქციის განხორციელებისათვის მიზანშეწონილია ცალკე ადამიანური რესურსის გამოყოფა.

პროფესიული ასოციაციის საქმიანობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობას. მსოფლიოში აპრობირებული პრაქტიკა მოიაზრებს პრეს-რელიზების, საინფორმაციო ბუკლეტების, ცნობარების პერიოდულ მომზადებასა და განახლებას.

მომსახურების სახეები და ფორმები. მიზანშეწონილია, რომ პროფესიული ასოციაცია ატარებდეს წელიწადში მინიმუმ ერთ, მსხვილმასშტაბიან ღონისძიებას, რომელიც გათვლილი იქნება ყველა წევრის მონაწილეობაზე. მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი ღონისძიება რეგულარული იყოს. ღონისძიებას შეიძლება ჰქონდეს ორგანიზაციულ/ადმინისტრაციული (არჩევნები, ანგარიშგება, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება) ან შემეცნებითი ხასიათი (კონფერენცია). ხშირად, ასეთ

შემთხვევაში, მგზავრობის ხარჯებს, ასოციაცია ანაზღაურებს, კონფერენციის შემთხვევაში კი მნიშვნელოვან ფასდაკლებებს სთავაზობს საკუთარ წევრებს.

პროფესიული ასოციაციების სტანდარტული სერვისის პაკეტი, სულ მცირე უნდა მოიცავდეს პერიოდული გამოცემების მიწოდებას წევრებისათვის, პროფესიული გადამზადების პროგრამებს, საგანმანათლებლო რესურსების მუდმივად განახლებულ ელექტრონულ ბაზაზე ან ბიბლიოთეკაზე წვდომას, ქსელურ აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობას. ამას გარდა, საქართველოსათვის საინტერესო და აქტუალურ დამატებით სერვისებს შეიძლება წარმოადგენდეს მასწავლებელთა კონკურსების ორგანიზება, წარმატებული მასწავლებლების პერიოდული დაჯილდოება, ე.წ. peer review სისტემაზე დაფუძნებულ ჟურნალებში მასალების გამოქვეყნების შესაძლებლობა (რაც მასწავლებლებს პროფესიული განვითარების კრედიტებში შეიძლება ჩაეთვალოს;)

ასოციაციების სერვისების დიდი ნაწილიც ელექტრონულ რეჟიმში ფუნქციონირებს (ელექტრონული ბიბლიოთეკა, ონლაინ კონფერენციები და ფორუმები, ელექტრონული კენჭისყრის რეჟიმი), ელექტრონული განვითარება. ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს გეოგრაფიულად გაფანტულ მიზნობრივ ჯგუფთან კომუნიკაციის გამარტივებას და ცალკეული სერვისების ფასის შემცირებას. შესაბამისად, ელექტრონული და ონლაინ რესურსების განვითარება ძალიან მნიშვნელოვან სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს.

ონლაინ კურსებისა და კონფერენციების ორგანიზების პრაქტიკის გადმოტანა საქართველოში აგრეთვე შეიძლება წარმოადგენდეს საინტერესო და პერსპექტიულ ინოვაციას, რადგან ამ შემთხვევაში მნიშვნელოვნად მცირდება ამ სერვისებთან დაკავშირებული დანახარჯი.

გარდა ელექტრონული გამოცემებისა, ხშირად ასოციაციები დისტანციურ მომსახურებას სთავაზობენ საკუთარ წევრებს - ე.წ. ელექტრონული მენტორინგის პროგრამა. ამ სახით, გამოცდილი მენტორი მხარდაჭერას და პროფესიულ კონსულტირებას უწევს დამწყებ პედაგოგებს. ასოციაციების პრაქტიკაში ასევე არის ონლაინ დასაქმების ცენტრი, რომელიც წარმოადგენს ელექტრონულ პორტალს და შეიცავს ინფორმაციის არსებული ვაკანსიების და დასაქმების სხვა შესაძლებლობების შესახებ წევრებს აქვთ შესაძლებლობა ატვირთონ საკუთარი

რეზიუმეები და ანარმონ როგორც ანონიმური, ასევე ღია კორესპონდენცია დამსაქმებელთან.

კიდევ ერთი საინტერესო პრაქტიკა, რომელიც შეიძლება აგრეთვე გამოიყენოს საქართველოში არის peer-reviewed პროფესიული ჟურნალის გამოცემა. ამ ტიპის სერვისის შეთავაზება საინტერესოა პროფესიული საზოგადოებისათვის, რადგან გამოცემაში პუბლიკაციის გამოქვეყნებისათვის შესაძლებელია გარკვეული კრედიტების დაგროვება პროფესიული განვითარების სქემაში.